საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ.თბილისში, დასახლება თემქა, კვარტალი – 10-ა, კორპუსი №39-ის წინ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.12.02.015/073) საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

I. შესავალი

შ.პ.ს. „ფართი“-ს (ს/კ 40.52.33.769) ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, (ნაკვეთის № ს/კ 01.12.02.015/073) თემქის დასახლება, 10-ა კვარტალში, კორპუსი №39-ის წინ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

II. ტექნიკური ნაწილი

საველე საინჟინრო გეოლოგიური, ბურღვითი და კამერალური სამუშაოები შესრულებულია ინჟინერ-გეოლოგების ბ. დევდარიანის და გ. ტატინაშვილის მიერ. გრუნტების ლაბორატორიული კვლევები შესრულებულია ნოემბერში მათ ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 13 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ჩასატარებელ სამუშაოთა პროგრამა ---------- 2 გვ.
4. გრუნტების ძვრაზე და ჭრაზე გამოცდის გრაფიკები ---------- 24 გვ.
5. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 2 გვ.
6. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 1 გვ.
7. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
8. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 1 ფურც.
9. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 4 ფურც.
10. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები, დასკვნით ---------- 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 12 სართულიანი საოფისე შენობა, ერთსართულიანი მიწისქვეშა ავტოსადგომით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

III. კვლევითი ნაწილი

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით (უგბ-50) გაყვანილია 3 ჭაბურღილი, საერთო სიგრძე 58.0 მეტრს შეადგენს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია

თიხნარების და ძირითადი ქანების, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობის საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი საოფისე შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა, ქვიშნარის შუაშრეებით;

ფენა 3 – ძირითადი ქანები, მაიკოპის ასაკის თიხები.

ტექნოგენური გრუნტი შენობის ფუძე-გრუნტებად არ გამოდგება და ამიტომ მისი თვისებები არ გამოკვლეულა. მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილი არის თიხებით, რომელთა სიმძლავრეც მერყეობს 13-15 მეტრის ფარგლებში, ხასიათდებიან ქვიშნარის შუაშრეებით. თიხები არიან მყარპლასტიკურ მდგომარეობაში. ანგარიშში მოცემულია თიხების სიმტკიცის გამოთვლა სტატისტიკური მეთოდით, რაც აღებულია ზოგიერთი შენობის დეფორმაციის საანგარიშოდ.

ძირითადი ქანები წარმოდგენილია მესამეული ასაკის ე.წ. მაიკოპის წყებით. ქანების წოლის ელემენტებია ს.დ. 240^0, ქანების დახრის კუთხე შეადგენს $30-45^0$, ხოლო მიმართების აზიმუტი $30-45^0$, ანგარიშში მოცემულია მათი სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე. ფერდობის დახრა ქანების დახრის მიმართულების საწინააღმდეგოა. გრუნტების თვისებებიდან გამომდინარე მეწყერის წარმოშობის საშიშროება არ არსებობს.

ამრიგად ჩვენს მიერ 2019 წლის 16 ივლისს ჩატარდა სათანადო გეოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც თანხვედრაშია 2017 წლის ექსპერტიზის დასკვნასთან. შედეგები ასეთია, რომ გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია არ წარმოადგენს არავითარ საშიშროებას.

IV. დასკვნა

ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, $10^{-ა}$ კვარტალში, კორპუსი №39-ის წინ (ს/კ 01.12.02.015/073), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. აღნიშნული კვლევა შესრულებულია კვალიფიციურ დონეზე. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა

აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით პეტროგრაფია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 1972 წ. 30 ივნისის დადგენილებით გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ პეტროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე

ინსტიტუტის რექტორი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

რეგისტრაციის № ГЕ-205

Грузинский ...

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი ბუბა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——————

№ Ე 0266413

ბ. ჭოხონელიძე

პირადი ხელმოწერა

მისამართი ——————

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალო რაიონის შ.ს. მეორე [illegible] განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ——————

ბ.ა. ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა

[illegible]

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჯობნელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ: საწმენებლო ფაკულტეტი, წმენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს იწგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის,. ქ. რუსთავ სობუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ, გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად;

ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
მისამართი, ტელეფონის №, ფაქსი	ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №10, ბინა №25 ტელ.: 22-00-44
დაბადების თარიღი	ქ. თბილისი, 16.02.1928 წ.
განათლება	1950 წ. დაამთავრე საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელი ინჟინერი (დიპლომი); 1972 წ. დაამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟ. გეოლოგი (დიპლომი)
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი); 1975 წ. პროფესორი – საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)
სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება	1958–1983 წწ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლ. და საინჟინრო გეოლოგიის ინსტ. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წ. დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე
გამოქვეყნებული მეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნ. შრომა, მათ შორის მონოგრაფია – საქართველოს ლიოსისებური გრუნტები (1976 წ.). შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, რუსთაველისა და ფოთის საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე. გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტების საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე.
მეცნიერო, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	დაწერილი მაქვს ანგარიშები საქ. მინ. აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟ. გეოლოგიის ინსტიტუტში წარმოდგენილ რამდენიმე საგრანტო თემაზე. ისინი ეხება საინჟ. გეოლოგიის სხვადასხვა საკითხს. მასალები ინახება ინსტიტუტის არქივში.
ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით

გ. ჭოხონელიძე